სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბრძანება № MOH 7 22 00000003

ქ. თბილისი 13/06/2022 **წელი**

მაიმუნის ყვავილის შესაძლო გავრცელების და აღკვეთის დროს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, მაიმუნის ყვავილის შესაძლო გავრცელების და აღკვეთის დროს გასატარებელი ღონისძიებები თანდართული დანართების შესაბამისად:

ა) მაიმუნის ყვავილის ინფექციის პრევენცია და კონტროლი (დროებითი რეკომენდაციები) - **დანართი #1;**

ბ) მაიმუნის ყვავილის შემთხვევის განსაზღვრება (არა-ენდემური ქვეყნისთვის, დროებითი) - **დანართი #2;**

გ) მაიმუნის ყვავილის შემთხვევის კვლევის კითხვარი (დროებითი v1) - **დანართი #3;**

დ) კონტაქტების მიდევნების სახელმძღვანელო (დროებითი) - **დანართი #4;**

ე) მაიმუნის ყვავილით ინფიცირებული პაციენტების სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერის და იზოლაციის მოხსნის მითითებები და კრიტერიუმები (დროებითი) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნებისათვის - **დანართი #5.**

2. დაევალოს, გადამდებ დაავადებათა დეპატამენტს (ხ. ზახაშვილი) უზრუნველყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართების დაყვანა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებამდე, მათ შორის მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებამდე.

3. დაევალოს, ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი
ამირან გამყრელიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად